იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურად . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურად . . . . 3 აბაზი
ცალკე ნომრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი [illegible] ნაწილ-ნაწილად [illegible] !4 [illegible] ნახევარი წლით 8 მან., თვიურად [illegible] აბაზი.

№ 42
წელიწადი მეორე
— 1913 —
ხუთშაბათი, 21 თებერვალი

რედაქცია [illegible] მოთავსებულია ქუთაისში, [illegible] 3. ი. [illegible] სახლში. ([illegible] სავაჭრო [illegible])

ტელეფონი № 149.

ელექტრულობისა და ჭურჭლე-
ლობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ალექსანდრეს ქუჩაზე

ახსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოვება ცნობილი ფირმებისაგან. **აგრეთვე ვკისრულობთ**
ის აფეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოვება მსურველთათვის სპეციალისტი მონტერები. ჩვენი მასალების **ხარისხის სიკეთეს ჩვენ** ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის მცემელი ფ. ს. ფილიპოვი.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე

1913 იმერეთი

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 4 აბაზი
და ცალკე ნომრის . . 1 შაური.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურად, მეოთხეზე—ორ შაურად, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე [illegible] ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო სტრიქონი თითო აბაზად. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასად.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Василію М. Челидзе.

სხვანაირად გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ელისე, მართა და ოლღა მოსეს ძე და ასულნი შავგულიძენი, პელაგია კონსტანტინეს ასული, ექიმი დიომიდე ვასილის ძე ფანცხავა, და ალექსანდრე პავლეს ძე ოყრეშიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

დეკანოზის მოსე ივანეს ძის შავგულიძისა.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. გასვენება და დასაფლავება ზედა-ქვიტირის მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე შაბათს 23 თებერვალს ნაშუადღევს 3 საათზე. საკუთარი სახლი, ორპირის ქუჩა, № 7.

შაბათს, 23 თებერვალს, ლანჩხუთის წმინდა გიორგის საკრებულო ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა განსვენებულის

ანასტასია ებრალიძის

მეუღლისა, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებასა შინა მყოფი განსვენებულის მეუღლე შამშე ებრალიძე.

ქართული თეატრი

იაფფასიანი წარმოდგენა.

პარასკევს 22 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

4 მოქმ., თარგმანი ა. იმედაშვილისა

დასაწყის საღამოს 8 საათზე. —✦— რეჟისორი ვ. ურუშაძე.

სახლის ამშენებელთა საყურადღებოთ

ლაქის ეკლარის ქვის სატეხის მოიჯარადრენი ტეხნიკი დ. პ. წულეისკირი და ი. დ. ბოლქვაძე ამით აუწყებენ პა-
ვცემულ საზოგადოებას, რომ მათ აიღეს ეს ქალაქის ქვის სატეხი და შეუძლი-
საზოგადოებას მიაწოდონ სამნაირი ქვა: თეთრი, ლურჯი და წითელი ყოველი-
ზომის. ეს ქვა განთქმულია თავის გამძლეობით და სილამაზით და თანაც
შევრად იოლია. აგრეთვე აქვსთ ქვები ქვაფენილებისათვის ყოველივე ზომის,
რველთ შეუძლიათ მიმართონ მათ კანტორაში: პუშკინის ქუჩა, ქალაქის
თვითმმართველობის ქვეშ.

შავი ქვის მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს

რომ 1913 წ. 3 მარტს, ნაშუადღევს სამ საათზე დაბა ჭიათურაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

——✦ **სადაც იჯარით გაიცემა შემდეგი საგნები:** ✦——

1. მეორე სართულის დაშენება სამრეწველოს საავადმყოფოს შენობაზე, რომელიც საბჭოს ეკუთვნის და აგებულია ჭიათურაში საავადმყოფოს მიწაზე. სამუშაო არის დაახლოებით 20,000 მანეთისა.
2. ახალი ორსართულიანი სახლის აგება ექიმებისათვის იმავე მიწაზე. სამუშაო დაახლოებით 10,000 მანეთისა.

პროექტებისა, ხარჯთაღრიცხვისა და აგრეთვე ტეხნიკური და საერთო პირობების გაცნობა შეიძლება ტეხნიკურ კანტორაში ჭიათურაში, ყოველ დღე, დილის 11 საათიდან 2 საათამდი. მსურველთ გაეგზავნებათ ბლანკები, სადაც აღნიშნული იქნება სამუშაოს რაოდენობა განსაზღვრული პირობით ფასები უნდა გაცხადებული იქნეს წერილობით დაბეჭდილ კონვერტებში. ამასთანავე წარმოდგენილ უნდა იქნეს გირაო, რომელიც უნდა უდრიდეს საიჯარადრო თანხის 10 პროცენტს. ორივე შენობის იჯარის აღება ერთად სავალდებულო არ არის.

საჭიროა ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოსათვის საფერშლო სკოლაში კურს-დამთავრებული და მასთან სპეციალურად მასსაჟის მცოდნე

გამოცდილი ფერშალი.

ჯამაგირი ბინის ქირიანათ ექნება თვეში 65 მანეთი,

ყოველ ხუთი წლის სამსახურისათვის ემატება 20% ჯამაგირისა,

შეუძლია ჩაირიცხოს წევრათ

მრეწველთა საბჭოსთან დაარსებულ მოსამსახურეთათვის შემნახველ-დამხმარე-გამსესხებელ კასსისა.

თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა გაეგზავნოს ჭიათურაში საავადმყოფოს გამგეს ექიმს ს. დ. ჯაფარიძეს ამა წლის 10 მარტამდის.



იულიუს სარევ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. და ბათომის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა

იგა ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი ტელეფონი № 18.

ПАПИРОСЫ
ГОЛУБКА 10 шт 3 коп
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ
ЭКСТРА
15 шт. 6 коп.
ФАБРИКИ
А. ЭНФІАДЖІАНЦА

ФАБРИКИ
А. ЭНФІАДЖІАНЦА
ПАПИРОСЫ
ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ
ЦѢНА
25 шт. 15 к.
10 ш. 6 к. 100 ш. 60 к.

ექიმი ი. ჩარექოვი.

იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულს და სიფილისიან ავადმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

ექიმი მ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. გალანჩივაძისა

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავადმყოფობას.

გენერლის ქუჩა ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

დღიური.

— ოსმალეთი თანახმაა, რომ მოკავშირეებს ადრიანოპოლი დაუთმოს. მოკავშირეები ახლა მიდიან და როდოსტის თხოულობენ. ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ბულგარეთს ურჩევენ— ოსმალეთი რასაც იძლევა, დასჯერდი და შეუთანხმდიო.

— ოსმალეთმა გირსის პირით რუსეთს მიმართა თხოვნით: შუამავლობა გაგვიწიე და მოკავშირე სახელმწიფოებთან მოგვარიგეო.

— რუსეთ-ავსტრიას შორის მდგომარეობა გამოკეთდა. ავსტრია ამ დღეებში ჯარის დემობილიზაციას მოახდენს.

— 1 მარტს ტრიესტში ალბანელთა კრება მოხდება. იქ სამოცი დელეგატი უკვე ჩავიდა.

— ამას წინათ სპარსეთში მცხოვრებმა სომხებმა რუსეთს სთხოვეს: ოსმალეთის სომხების საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღეო. რუსეთმა უპასუხა —ყოველთვის ვესარჩლებოდით ოსმალეთის სომხობას და დღესაც გამოვესარჩლებითო.

— სტამბოლში პოლიციამ აღმოაჩინა ახალი ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ ამზადებდა შეთქმულობას.

— მახმუდ-შევკეტ-ფაშა უსახელო წერილებს ღებულობს. წინადადებას აძლევენ სამსახურს თავი დაანებეო.

— პეტერბურგში გაძლიერებული ჩხრეკაა სჩხრეკენ მუშათა ბინებს. ბევრი მუშა დააპატიმრეს.

— რუსეთის ქარხნებში მუშა ქალთა რიცხვი ექვსასი ათასი ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის საკრებულო დარბაზი.
კვირას, 24 თებერვალს გაიმართება
მე-2-რე კონცერტი
ვარდენ ლორთქიფანიძისა,
რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: პროფესორი თფ. მუსიკალური სასწავლებლის ცნობილი არტისტი, დრამატიული ბარიტონი—
ქ. ზ. [illegible]
და მომღერალი ქალი
ა. დ. კოვალევსკისა (მეცო-სოპრანო)
დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში
მოსწავლეთ ნებადართული აქვთ კონცერტს დაესწრონ.

ბავშობია.

(იხ. „ქართული პრესა", „მერცხ." 19 თებ.).

ტარტარენ ტარასკონელმა ვირი მოკლა და თავი მოიწონა: ეგონა ლომი მოვკალიო.

პატარა ბავში როცა ხელს უცაცუნებს ვისმე, ფიქრობს, ვლახავო.

და ნამდვილი ტარტარენები იქნებოდენ „მერცხლის" მწერალნი, რომ სხვა, უარესი ზნე არ სჭირდესთ.

ისინი გვანან უფრო ჭირვეულ ბავშებს, რომელთაც უყვართ ჭყანი, ჩხუბი, აურ-ზაური, მაგრამ ღონე კი არ შესწევს მათს ქადილს.

ვიღაც „მ-ნი"-ს მოუნდომებია ჩემი დახასიათება, როგორც პუბლიცისტის, მაგრამ საცოდავს ლანძღვა-გინება კრიტიკათ მოჩვენებია და უსირცხვილოთ და უშნოთ შეუკონკავს საგინებელი და უწმაწური სიტყვების კრებული.

და თავი კი მოსწონს, როგორც ვითომ უბადლო კრიტიკოსს!

ოჰ! საბრალო გულუბრყვილობა!

მკითხველი არ დამემდურება, ზოგიერთი მარგალიტი რომ ამოვსწერო ამ უცნაური კრებულიდან: ავტორის ზნეობრივ ავლა-დიდებასაც გაიცნობს და კიდევაც იცინებს.

მოისმინეთ და დასტკბით: „ამ ვაჟბატონის (ე. ი. „უროსი") ჭკუის ნაცოდვილევი", „უზრდელი კილო", ქარაფშუტობა"... „ლოღიკა, გონიერება, სამწერლო ეთიკა—ყოველივე ეს ზედმეტი ბარგია მისთვის (ე. ი. „უროსთვის"), და სხ.

მეტისმეტი—ბრეტის ბრეტიო, ამბობენ, და ნიმუშათ ესეც კმარა.

და, ასე რომ მაგინებს, მაინც დარწმუნებულია, რომ ძალიან ზდილობიანი ბძანდება და ლიტერატურულ მართებულებას არ ღალატობს!

მაგრამ გინებაზე რომ გინებითვე მიმეგო პასუხი, მეც ხომ ბავში ვიქნებოდი?!

შეიძლება მკითხონ: „ბავშს რომ უწოდებ, ესეც ხომ გინება არისო"? მაგრამ არა: მე მხოლოდ ვახასიათებ.

რა განსხვავებაა გინებასა და კრიტიკას შორის? ის, რომ გინება მხოლოდ შეურაცხყოფს და არ ახასიათებს; კრიტიკა კი ახასიათებს, აღნიშნავს ნიშნობლივს თვისებას.

ამიტომ გინება უშინაარსოა, კრიტიკა კი შინაარსიანი.

და სწორეთ იმიტომ ვუკიჟინებ „მერცხლის" მწერლთა მაგინებლობას, რომ უშინაარსო არიან, არსებითად არ შეუძლიათ დაობა.

და როცა დაობენ, ვერცერთი მათი უსუსური დებულება ვერ უძლებს სულის მსუბუქ შებერვასაც კი.

დაუგდეთ ყური ავტორის წერილის არსებითს (?) მხარეს და დამიჯერებთ.

ჯერ ერთი, ავტორი იწუნებს არჩილ ჯორჯაძის ზოგიერთს დებულებას და პასუხისმგებლათ კი მე მხდის.

ბატონო „მწერალო"! მე ვაგებ პასუხს მარტო იმაზე, რაც მითქვამს მე. და, თუმცა დიდათ ვაფასებ არჩილ ჯორჯაძეს, მაგრამ არ შემიძლია გავიზიარო თითოეული მისი აზრი. მისი წერილიდან ამოვიღე და მოვიწონე მხოლოდ ზოგიერთი დებულება. მაშასადამე, იერიში უნდა მოგეტანათ მარტო ჩემ დებულებათა წინაალმდეგ.

მეორე, არსად არ მითქვამს, რომ ბულგარელების განზრახვა შეადგენდეს მხოლოდ ჩაგრული ერების განთავისუფლებას. და არაოდეს არ აღმიარებია პრინციპიალურათ ომის სარგებლობა და სამართლიანობა.

ომი ზრდის მილიტარიზმს და შობს მონობას. ეს ისტორიის კანონია. მაშასადამე, ჩვენ, როგორც ინტერნაციონალისტები, უარვყოფთ ომს.

და, რასაკვირველია, არ თანაუგრძნობთ არც ოსმალეთსა და ბალკანეთის მოკავშირეთ შორის ამტყდარ ომს.

მაგრამ იმავე დროს არ შეგვიძლია არ ალვიაროთ, რომ ომს ხშირათ მოუტანია სიკეთე. მაგალითად, რუსეთ-ოსმალეთის ომი მესამოცდაათე წლებში დასრულდა ბულგარეთის დამოუკიდებლობით, რუსეთისა და დასავლეთის სახელმწიფოების ომმა მეორმოცდაათე წლებში დააჩქარა ბატონ-ყმობის გადავარდნა რუსეთში; რუსეთ-იაპონიის ომმა ხელი შეუწყო რუსეთის დიდი რევოლუციის წარმოშობასა და სხ.

ეს საანბანო ჭეშმარიტება გაუგებარია „მერცხლის" მწერლთათვის. მათთვის ან მთლად, ყოველი მხრით მავნებელი და გამანადგურებელია ყოველი მოვლენა ან ყოველი მხრით, სასიკეთო და სასარგებლოა! და ვისლა უნდა უკიჟინონ ქარაფშუტობა, ამისთანა „უკაცრაული პასუხის" კრიტიკოსებმა?!

დაიჯერეთ, „მერცხლის" მწერლო, ჩემი სიტყვა: იმაზე კი არა გვაქვს ახლა ლაპარაკი, უნდა ყოფილიყო თუ არა ომი; ომი უკვე ფაქტია, რომელიც როდი ყოფილა დამოკიდებული ჩვენს ნებაზე. და დღეს გვინდა გავითვალისწინოთ მხოლოდ ომის შედეგები.

და აი აქა ჩანს ნამდვილი პოლიტიკური უსუსურობა „მერცხლის" მწერლთა.

ავტორი არ თანაუგრძნობს ალბანეთის ავტონომიას. ის ამბობს: „ალბანეთის ავტონომია, რომელიც უკვე ფაქტათ უნდა მივიღოთ, არის მოჩვენებითი თავისუფლება ალბანელებისა. ნამდვილათ იგი ავსტრიისა და იტალიის მუდმივი საჯიჯგნი ადგილი იქნება.. ეს დღეს ყველამ კარგათ იცის"...

მაგრამ ამასვე ამბობენ „ნოვოე ვრემია"-ს „რუსკოე სლოვოს" და სხ. შოვინისტები.

და ჩვენ რომ ვამბობთ, ჩვენი ცრუ-ინტერნაციონალისტები რუსეთის შოვინისტებს უახლოვდებიან ეროვნულ საკითხში-თქო, ამას ამოწმებს სხვათა შორის „მერცხლის" ხსენებული მწერალიც. საზოგადოთ ჩვენებურმა ცრუინტერნაციონალისტებმა ჯერ შეაჩვენეს საქართველოს ავტონომია, შემდეგ დასწიხლეს პოლონეთის ავტონომია, ახლა კი ალბანეთის ავტონომიასაც უარყოფენ. და ინტერნაციონალისტობას კი იქადიან!

ჩვენ სულ სხვა პრინციპს აღვიარებთ. ჩვენ თანაუგრძნობთ თითოეული ერის, მაშასადამე, არა თუ ალბანეთის, არამედ კუცოვლახების ავტონომიასაც.

კუცოვლახები ამბობენ:

უნდა მიენიჭოს დამოუკიდებლობა ან ავტონომია იმ ქვეყანას, სადაც ცხოვრობენ კუცოვლახები და ებრაელები. ამ სახელმწიფოში უნდა შედიოდენ კოსსოვო, მონასტირი, მეტცოვო, ვერია და სხ. მათ უკვე აირჩიეს კომიტეტი, რომელსაც მიანდვეს მოლაპარაკება სახელმწიფოებთან.

და, ჩვენ, როგორც ინტერნაციონალისტები, არ თანაუგრძნობთ ბულგარლების აგრესიულ პოლიტიკას, რომელსაც მიზნათ აქვს შეიერთოს კუცოვლახებით დასახლებული ნაწილი მაკედონიისა, და არ თანაუგრძნობთ არც სერბიელების პოლიტიკას, რომლის მიზანს შეადგენს ალბანეთის გასრესა.

ეს არის ჩვენი პოლიტიკური მრწამსი და, თუ ეს შოვინისტობა და შავრაზმელობაა, „მერცხლის" მწერლთა იდეალი რაღა იქნება?!

მაგრამ ან კი რისთვის ვეკითხებით? განა არ ვიცი, რომ თვითონვე არ უწყვენ ანგარიშს თავის ნათქვამსა და, რაც მოადგებათ ენაზე, იმასა სჩმახვენ?!

ბოლოს თუმცა, ვიცი, არ დამიჯერებთ, მაგრამ მოვალეთ ვთვლი თავს, მოგახსენოთ, ბატონო „მ.-ნი", ჩემი გულწრფელი რჩევა: უშვით ხელი კალამს, რადგან ამ ხელობისთვის არც ნიჭი შეგწევთ, არც ცოდნა. ქართული ლიტერატურა მოიგებს და თქვენ კი, მერწმუნეთ, არაფერი დაგაკლდებათ!

ურო.

P. S. რაც შეეხება „ახალი ჯგუფის" სამგირო საქმეებს თფილისის ხმოსანთა არჩევნის დროს, რაცა ვთქვი, ქვეყანამ იცის და „მ-ნი" რომ იკატუნებს თავს და გაკვირვებას აცხადებს, რასაკვირველია, თვალთმაქცობს: განა არ იცის, რომ უარესი ამბები ჩაუდენიათ მის მომხრეებს?!

ურო.

ახალი ამბავი.

ამას წინად გაზეთში იყო მოყვანილი ცნობა, რომ დაშავებულ მუშებს შავიქვის მრეწველთა საბჭოს კასიდან მიეცა 17,614 მან. 56 კ. ეს ფული მიეცა მხოლოდ ერთი წლის—1912 წლის განმავლობაში.

✦ ჭიათურაში შავი-ქვის. მრეწველთა საბჭო ხსნის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, რისთვისაც საკმაო ფულია გადადებული. ამ ჟამად გუბერნატორი თხოულობს, საბჭომ აცნობოს, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი მეთვალყურე ამ სამკითხველოსა; უამისოთ ნებართვა არ ექნება საბჭოს ბიბლიოთეკა გახსნას.

✦ ჭიათურიდან გაუზიდავთ: 10 თებერვალს 180 ვაგონი შავი-ქვა, 11-ს 175, 12-226, 13-ს—300, 14-ს—293, 15 ს—300 და 16-ს—360 ვაგონი.

✦ ნამესტნიკის ცირკულიარი ოლქის მზრუნველისადმი თითქმის ყველა სატახტო ქალაქის გაზეთმა გადაბეჭდა. „რეჩსა" და „რუსკაია მოლვაში" ამ ცირკულიარის გამო მეთაურებიც კი იყო დასტამბული. „რეჩი აღნიშნავს, რომ კასსოს პოლიტიკა და ნამესტნიკის ცირკულიარი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

✦ სატახტო გაზეთების ცნობით ამნისტია საზღვარგარეთ მყოფ რუსის ლიტერატორებს ა. ამფიტეატროვს, კ. ბალმონტს, მ. გორკის, ნ. მინსკის და სხვებსაც გაათავისუფლებსო.

✦ იუბილეს გამო კავკასიის ნამესტნიკმა მინისტრთა საბჭოს წინადადება მისცა დაფაარსოთ დაბალსა და საშუალო შკოლებში სტიპენდიები და თფილისისა და ერევნის გუბერნიის და ბათომის ოლქის მცხოვრებლებს ნედოიმკები სანახევროთ ვაპატიოთო. მინისტრებს ამ წინადადების შესახებ მსჯელობა ქონიათ და საბოლოოთ ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ.

✦ უკვე გადაწყდა: რომ ყველა იმათ, ვისაც სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილი და ან 21 თებერვლამდი ჩადენილ მოქმედებას გამო ეს სასჯელი მოელის, ოცი წლის კატორგათ შეეცვალოთ ეს სასჯელი.

✦ ხვალ ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ლ. ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა." წარმოდგენა იაფ ფასიანია.

✦ გაზეთ „ჩვენი დროება" რედაქცი
აცხადებს—გაზეთის გამოცემას ტექნიკუ
რი მიზეზების გამო დროებით შევაჩერე
თო.
✦ 18 ამ თვეს [illegible] ციხიდ
ქუთაისის, [illegible]
[illegible]
ბია. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ი
გაამართლა, მაგრამ ბრალმდებელის საჩ
ვარით თფილისის სამოსამართლო პალა
ტამ 6 წლის კატორგა მიუსაჯა. პალა
ტის განაჩენი სენატმა დაამტკიცა. ბ
ბრალდებოდა დაბა გუდაუთაში ღამ
ყარაულის დაჭრა, იგი ქუთაისიდან რუ
სეთის საკატორღო ციხეში მალე გაე
ზავნება.

✦ 18 ამ თვეს ქუთაისის ოლქის ს
სამართლოს განკარგულებით შეიპყრ
ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის ყ
ფილი მოწაფე პოლიკარპე ნიშნიანიძ
მას სასამართლომ ერთი წლის ციხე გ
დაუწყვიტა დირექტორის გალახვისათვის
იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე გ
გიორგაძე.

✦ 18 ამ თვეს. ოზურგეთის ციხიდ
ქუთაისის ციხეში მოიყვანეს საველი ჯ
ყული- მას ერთი წლის ტუსაღობა გამ
წორებელ რაზმი აქვს გადაწყვეტილი.

✦ სენატმა დაამტკიცა მალაქია ტ
დაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებ
და ვურიაში დარაჯის მოკვლა რის
თვისაც მას ქუთაისის ოლქის სასამარ
ლომ 12 წლის კატორგა გადაუწყვეტ
იმალე რუსეთის საკატორღო ციხეში გა
გზავნება.

✦ ამ მოკლე ხანში, სენატი გაარჩ
ალექსანდრე მიქელაძის საქმეს, რომე
საც ოლქის სასამართლომ 10 წლის კ
ტორგა მიუსაჯა.

✦ 27 თებერვალს ქუთაისის სასამარ
თლო გაარჩევს ივლიანე კიზირიას საქმ
მას ბრალდება კაცის დაჭრის განზრახ
კიზირიას დაიცავს ნაფიცი ვექ. თან
შ. მესხიშვილი.

✦ როგორც გავიგეთ, გუშინწინ, 1
თებერვალს, ქუთაისის პირველი სას
ქალაქო სასწავლებლის მეექვსე კლას
მოწაფენი შ. ბერძენი და ნ. შავდია ს
სწავლებლიდან გამოურიცხავთ. მათ დ
აბრალეს ხელთნაწერი გაზეთის გამოცე
და სასწავლებლის მთავრობის საწინაღ
დეგო წერილის შიგ მოთავსება.

✦ კვირას, 17 თებერვალს ქუთაისის
საგუბერნიო ციხიდან ასტრახანის გუბე
ნიაში ეტაპით გაიგზავნა ადმინისტრაც
ლი წესით გადასახლებული და თავის
ნებით დაბრუნებული პავლე გოგალაშ
ლი. იგი მეოთხეჯერაა, რაც თავის ნ
ბით დაბრუნებულა და ისევ იქ იგზავნ
ბა. მას ბრალდება გამათავისუფლებე
მოძრაობაში მონაწილეობის მიღება.

✦ თფილისის სასამართლო პალა
24 აპრილს გაარჩევს ვალერიან ინალ
შვილის საქმეს. მას ქუთაისის ოლქის ს
სამართლომ ადგილობრივი ციხიდან გა
ცევის განზრახვისათვის ცხრა თვე ც

ბერიკას ჭიანური

ნოველა.

ბავშობიდან საშინლად მიყვარდა დილა-საღამოთი თოფით ხეტიალი... თავზე ნაბდის ქუდს მოვიგდებდი და დაფიქრებული მოვშორდებოდი საკუთარ ეზოს, მოვშორდებოდი და სევდიანი მდინარის პირს დავყვებოდი, მივდიოდი ნელა; მდინარის ჩუხჩუხი თავის მელოდიაში მანებივრებდა და ისე შევიდოდი აჯამეთის ტყეში, რომ ვერც კი გავიგებდი... მთელი ზაფხული ისე გავიდოდა, რომ ჩემი თოფის სხვერპლი ხანდახან კოკარი*) თუ გახდებოდა, თვარა არავის ვერჩოდი... რამდენჯერ, როცა ხის ძირას ვიჯექ, იმ ხის წვეროზე გვრიტების გუნდი შემოჯდებოდა, მაგრამ მე ხმას არ ვცემდი; თოფს დავუმიზნებდი, მაგრამ თოფი ისევ ძირს დაეშვებოდა ჩემდა უნებურათ და მე ფიქრთა ოკეანეში შევცურდებოდი... ხშირად ტყის პირას ბუჩქებში ყურდგელი გამოხტებოდა, ტუჩების ცმაცუნით აქეთ-იქით იხედებოდა,—მაგრამ ჩემ თოფს მისი სისხლი არ დაუქცევია... არა. თვით მწყრალ შევარდენს, რომელიც თვალების ბრიალით თოფის მანძილზე დამიჯდებოდა, ხელს არ ვახლებდი, მისი გაბედულებით ვსტკბებოდი და ჩემს თოფს მის წინ ქედს ვახრევინებდი... თოფით ხელში ჩემს ძალას მაინც ვგრძნობდი, მაინც მადლიერი ვიყავი და სისხლს არა ვღვრიდი, არა ვანთხევდი, მე მაინც მწამდა, რომ ადამიანი ვარ—მეფე ბუნების და ეს მაფრთოვანებდა,—ამიტომ არავის ხმას არ ვცემდი; მხოლოდ შევნატროდი იმ დროს, როდესაც... როდესაც თოფით ხელში სხვა რამ წმინდათა წმინდის დასაცველათ—სისხლს დავღვრიდი და ამიტომ არავის ხმას არ ვსცემდი, სისხლს არა ვღვრიდი... მხოლოდ, აკი ვსთქვი, მიყვარდა და ახლაც მიყვარს თოფით ხელში ბუნების წიაღსა შინა სევდიანობა, ფიქრი...

გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ახალი გადასული ვიყავ და ზაფხულს ჩვეულებისამებრ სოფელში ვატარებდი. . გათენდებოდა თუ არა, თოფით ხელში მდინარეს ჯერ ღიღინით შევყვებოდი, მერე კი ფიქრთა სამეფოში შევცურდებოდი.

გავიდოდი ტყის პირას, ჯირკზე ჩამოვჯდებოდი მდინარესთან და მის დუდუნს ყურს ვუგდებდი...

პატარაობიდანვე ჩემს ყურადღებას იპყრობდა სოფლის წყემსები, რომლებშიც ხანდახან გავერევოდი და ტკბილ მუსაიფს გავაბამდი—ხან მათ ცელქობას თვალს ვადევნებდი... დამავიწყდებოდა სევდიანობა და მათი სიცოცხლით ვსტკბებოდი.

უფრო კი ჩემს გულს ლხენას მოფენდა, როცა ახალ მაისის ვარდის კოკორივით მალხაზ გლეხის გოგო ფუცას დავინახავდი. ის გულში შემეჭრებოდა, ტკბილათ ააძგერებდა, მომსტაცებდა ოხვრას... ფუცა! ფუცა აღელვებდა ყველას, ყველა მას ფეხქვეშ ეგებოდა, მაგრამ იგი ნაზი და თან ამაყი იყო, არავის ყურადღებას არ აქცევდა. ხშირათ, როდესაც იმას დავინახავდი სისხლი ამივარდებოდა თავში, გავწითლდებოდი, თვალებში შევაჩერდებოდი, მაგრამ ის ამაყურათ, ჩამივლიდა გვერდში... არც კი გადმომხედავდა, მე მაინც ყოველთვის ვეძებდი დროს მას შევხვედროდი, ის მეხილა, მისი ცქერით ცოტა ხანს დამტკბარ ვიყავ; მერე დავშორდებოდი, მდინარის პირას დამჯდარ ვიყავ და მისი დუდუნისთვის ჩემი გულის ნადები გამენდო..

ერთ საღამოს თოფით ხელში კვლავ ვეწვიე ნაცნობ ადგილებს... მდინარის ჩუხჩუხმა გამიტაცა და მისი დუდუნით მოხიბლული შორს ჩავყევი... მივუახლოვდი ბერიკა სვანის სატყისმცველო ქოხს, რომელიც მდინარის პირას ძელქვებში იყო გაშენებული და გარშემო გაუვალი მაყვალისა და კურკანტელას ბურდეები ქონდა შემორტყმული... ფიქრში გართულს წინ წარმომიდგა ფუცა... შევკრთი... მის ხატებასთან გამომეცხადა ბერიკა სვანი—ტყაჩო, რომლით სოფელში ბავშებს აშინებდენ და ჟრუანტელმა ტანს დამიარა... ფუცა! ბერიკა! რა კონტრასტი იყო მაშინ ჩემს წარმოდგენაში?! ახალგაზდა თუთხმეტი წლის გოგო! თმათეთრი, ტლანქი სვანი, მუდამ მოღუშული, მუდამ წარბშეხრილი დაიარება... და შევკრთი!! მდინარის დუდუნმა გამომაფხიზლა, იქვე ჩამოვჯექი, თოფი გვერდით დავიდე... ფუცა კვლავ წარმომიდგა. მთელმა ტანმა რაღაც ნეტარება იგრძნო. უცებ შორიდან მოწყდა მელოლიავი აკორდი... ტანს მომეხვია. რა იყო? თავი გავაქნიე... ყურები მივაპყარ... ჩემს სმენას არ ვუჯერებდი... კვლავ სევდიანი ხმა ჩაწვდა ჩემს სმენას... წამი და მომხიბლავმა მელოდიამ გამიტაცა... თვალს ცრემლი მომწყვიტა.

დიდხანს ვერ გამოვერკვიე: საიდან იყო ამ ტყეში ჭიანურის ხმა, ან ვინ უკრავდა.. მაღე თავი დავაღწიე გაქვავებულ მდგომარეობას და იქით გავეშურე, საიდანაც ტკბილი ხმა მოისმოდა.

პაწა კლდე მიყვებოდა მდინარეს—ერთ ადგილას ჩასვალი ქონდა; იქ კი კლდის ძირას ერთი სახლის დადგმაზე გამოქვაბული იყო. აქედან გამოდიოდა ჭიანურის მომხიბლავი ხმა... მივუახლოვდი. გადავიხედე... ხის ძირას ჯიხვის ტყავზე იჯდა ბერიკა და სვანურ ჭიანურს ატირებდა.—იქვე ახლოს, მდელოზე გაწოლილიყო რამდენიმე წყემსი გოგო-ბიჭი... მათ შორის ფუცა იდაყვშემოდგმული ბერიკას თვალებში მისჩერებოდა. ყველა სულ განაბული უსმენდა... მეც გამიტაცა... ბერიკას თვალები უბრწყინავდა; სიყვარულითა და გატაცებით აჟღერებდა. სიმებს; ჰანგები სწყდებოდა ნელის ღიტინით, ნელის ჟრჟოლით ყველას უალერსებდა, მერე გაიჭრებოდა მდინარისკენ, ჩაეწნებოდა მის დუდუნში და მოუთხრობდა მის ტალღებს მოხუცის სულის კვეთებას. მოხუცმა გაათავა... ჭიანური გადადვა და ცრემლები მოიწმინდა... წყემსები ჩუმათ დაიძრენ და ფეხ-აკრებით სათითაოდ გამოქვაბულს მოშორდენ. ფუცა სევდიანი მოშორდა იქაურობას და ნელის ნაბიჯით სხვა წყესებს გაყვა ნახირის საძებრათ... მოხუცი დიდხანს იჯდა უძრავათ, გაშტერებული... ველარ მოვითმინე, მივედი და მივესალმე... ბერიკა ჩემს მისალმებაზე შეკრთა, თავი აიღო და ნელმა ღიმმა ტუჩები შეუკრთო... საუბარი გავაბით... ბერიკას ლაპარაკი უყვარდა. ამოიხვნეშა და დაიწყო:

— ჩემო ბიძია, ჩემი ბედი ძაღლის ბ
დია, მარა რას იზამ, როგორც ძაღლ
ველარ შორდება ბატონის კერას, ი
მეც ვერ ვშორდები აჯამეთის ტყეს. მ
და, მინდა ძლიერ ჩემს საყვარელ სვანე
ში გადავიარო, მოვინახულო, მარა გ
ლი აქაურობას დაუმორჩილებია. ეხ, ბე
ნიერიც ვიყავი, ბედნიერი, როცა
ტყეში ლაღი, თოფით მელებსა
შვლებს დავდევდი, როცა სოფელში
მოვიდოდი და დროს ვატარებდი... ო
ცა გულის სატრფო ჩემს ვაჟკაცობას ა
რებდა. მარა ის დრო წავიდა... ახლ
ჩემო ბიძია, მოგონებით ვცხოვრობ, მ
გონებით... ახალგაზდა 25—26 წლ
ყმაწვილი ვიყავი, როცა პირველათ
სვანეთიდან ჩამოვედი—გავიდა, ორი სა
წელი და ჩემი გული ერთმა ახალგაზდ
ქვრივმა თამრიკომ დაიმორჩილა. მის ხს
ნებაზე ბერიკას სევდამ ცრემლი მოსტ
ცა თვალიდან, მაგრამ მაინც განაგრძო.
ქალმაც მოწყალე თვალით შემომხედ
—აი ამ ადგილს პირველათ მე და
ერთმანეთს გადავეხვიეთ და სიყვარულ
შევფიცეთ... წელიწადი გაგძელდა ჩვე
ნი ტრფობა... მშობლებს მოკითხული
კი გავუგზავნე... მაგრამ... ღარი მით
რეს... რამდენიმე დღეს შემდეგ გავიგ
რომ თამრიკო მთაში წეყვანათ და
ძალიან მდიდარი გლეხისთვის მიეც
ექვსი თვე გავიდა. თამრიკოს ქალი
ძენოდა, ქმარს გაეგო ცოლის ძველი
ბავი და საბრალო ქალი პაწა ბავშით
ნათ გარეთ გამოეგდო.. ზაფხულის ს
ღამე იყო, როდესაც ბავშის ტირილ
გავიგონე გამოვიხედე გარეთ—ჩემ წინ

---

* წუდის ფრინველია.

...ვიტა, მაგრამ სასამართლოს ბრალ- ...არ დარჩა კმაყოფილი განაჩე- ...პალატაში გაასაჩივრა. მას რვა ...ტორგა აქვს გადაწყვეტილი და- ...ბრისათვის (სოხუმის ოლქში).

...ნატმა დაამტკიცა ერემია ქუთა- ..., ალექსი ჩოჩიას, თედო კანჭა- ...აქსენტი შონიას საქმე. პირ- ...ს ბრალდება მამების სიკვდილი, ...მეორე ორს—დედების მოკვლა. ...სასამართლომ ქუთათელაძეს 20 ...ოჩიას 15 წლის, კანჭარიას ღვა- ...ჭონიას 12 წლის კატორგა მიუ-

15 ამ თვეს ქუთაისის ციხის საა- ...ოში გადაიცვალა ათანასე ფირ- ...ვილი გამოძიების ქვეშ მყოფი. ...ლებდენ დაბა სამტრედიაში 1911 ...პარკის მოვაჭრე თათრებისთვის ...ანეთის წართმევას.

...ფილისში მეორე დღეა ქარიშხა- ...ნვარებს; ტრამვაის ელექტრონის ...ები დაგლეჯილია. თოვლის ნა- ... გამო საქართველოს სამხედრო ...ისვლა-მოსვლა შეწყდა. ყარსიდან ...ებლები იგვიანებს.

...ფიქრის მორევში.

...მომწყვიტა აკაკის წერილმა, გო- ...ჯახელა, აზრი აირია, ძარღვები

...ის" რედაქცია პასუხის გებას ავ- ...აკაკის ახვევს და არას ამბობს ...ეთაიხმება თუ არა ყოვლად შეუ- ...ნელს აზრსა და კილოს ამ წერი-

...სწერს—კიტა აბაშიძე მოსაკლა- ...გამომეტებსო და ამას თითქო კვერს ... „თემი". თუ ეს ასე არაა—„თემს" ...ით უნდა ეთქვა—არ ვეთანხმებით ...ო.

..., ბ. „თემმა" და მისმა სულის ...ლი გრ. დიასამიძემ, რუსნი რო ...—დათვური სამსახური გაუწიეს ...ოვე სახელოვან მგოსანს და ასე- ...ში სამსახური დამთავრდა ყოვ- ...მუფერებელი, მიუტევებელი ეპი- ..., ისეთი ბრალდებით მთელს ქარ- ...ობაზე და ამ ქართველობის ერთ ...ნო წარმომადგენელზე, რომ ...ენია, გული ბოღმით გევსება, რო- ...ეთ წერილს ხელს აწერს აკაკი.

დ.

ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ.

...ელიად რუსეთის იმპერია დღეს გა- ...ცებით და მოუთმენლად მოელის ...ობისაგან ნაბოძებ წყალობას. დღე- ...ლი მანიფესტიდან დავინახავთ, ვის ...ოთლდება იმედი, რა მოწყალება— ...ტაც გამოვა. სამინისტროში კარგა ...ბჭობაა იმის თაობაზე, თუ რა სა- ...რა შეღავათის მანიფესტი გამოიცეს, ...ამ რუსეთის იმპერიის დიდებულ ... შეეფერებოდეს—მეფის გვარეულობის სამასი წლის თავს. მინისტრები ბჭობდენ, თათბირობდენ. სხვათა შორის, მინისტრთა ერთს სხდომაზე (7 თებერვალს) გაირჩა ორი მინისტრის წინადადება. იუსტიციის მინისტრი 1904 წ. 11 აგვისტოს გამოცემული ამნისტიის ფარგალს იცავდა. იგი შესაძლოთ სცნობდა შემცირებულიყო პოლიტიკურ და სისხლის სამართალში მიცემულ დამნაშავეთა სასჯელი. ასაფეთქებელ ნივთიერებათა მომზადებისათვის და მათი დაცვისათვის, ცარცვა გლეჯისა და ცხენის ქურდობისათვის სასჯელი შემცირებულიყო ერთი მესამედით. ეს შემცირება არ ეხება იმათ, ვინც მუქრობის საქმეში ბრალდებული არიან და მათ შორის დღეს ბევრი საშიში რევოლიუციონერები თავს იფარვენ რუსეთის საზღვრებს გარეთ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ა. მაკლაკოვის პროექტი უფრო ფარგალ გაშლილია. მინისტრი აუცილებელ საჭიროთ სცნობს 300 წ. იუბილეს აღსანიშნავათ სიკვდილით დასჯის მატიებას, ვისაც ასეთი სასჯელი გადაწყვეტილი ქონია 21 თებერვლამდე და აგრეთვე, ვისაც ეს სასჯელი უკვე შეყენებული საქმით მოელის. შემდეგ მაკლაკოვი სრულს პატიებას მოითხოვს იმათთვის, ვისაც მათი დიდებულობის სახელის შეურაცხყოფის საქმეში ბრალი ედებათ; მაკლაკოვის აზრით ასეთი დანაშაული ხშირათ ფუქსავატობით მოსდით და ასეთი პირები სახელმწიფოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენსო. მექარის საქმეში ბრალდებულთაც უფრო შეღავათიანად უნდა მოვეპყრათო—ამბობს მაკლაკოვი. რაკი საქმე პატიებაზეა, მინისტრი იმ აზრისაა, რომ გამოთიშვა საჭირო არაა. შემდეგ მინისტრი მოითხოვს ლიტერატურული საქმეების გამოყოფას, განსაკუთრებით პერიოდული პრესისა. აქ უფრო სრული პატიებაა საჭიროო. მაკლაკოვის აზრით უნდა მოისპოს ადმინისტრატიული დაჯარიმება და სასჯელი პერიოდულ გამოცემაზე. იუსტიციის მინისტრის წარმომადგენელი მაკლაკოვის პროექტს ადარებდა ცხრაას ხუთში გამოცემულს აქტს და ასეთი აქტის გამოცემაკი ამ ჟამათ მოუხერხებელი და უადგილოაო...

მინისტრთა საბჭომ ითათბირა ამ ორი პროექტის გამო და მიემხრო და მოიწონა მაკლაკოვის პროექტი. ხოლო უკანასკნელი თათბირი გუშინწინ, 19 თებერვალს ექნებოდა მინისტრთა საბჭოს ამ საგანზე და აი, ეს დადგენილება, რომ დღეს გამოქვეყნდება და მოევლინება მოუთმენლად მომლოდინე რუსეთის იმპერიის ერებს.

შავი ლოცვა.

ა.

დავგმე მიწა... დავგმე კაცი...
დავივიწყე ყოველივე,
ნისლად ვიქეც... ცის სივრცეში
დავქრი შავად მოლივლივე...

—

ჩანგს სიმები დავუწყვიტე,
დავამსხვრიე ოქროს წკირა;
მუხას ფრთები შევაჭერი,
გულმა სული დაიტირა...

—

ცრემლის ფრქვევა ნაკადს მივეც,
ნაღველ-სევდა ბადრსა მთვარეს;
მხოლოდ ქარს და ვაზუზუნებ—
ჩემი სულის სიმწუხარეს...

ბ.

„ოხ, ნეტავი შემეძლოს
გულის გამოტირება:
ზეცას ცრემლი ტანჯვისა
მუდამ შეეწირება...

—

ან ნეტავი შემეძლოს
გავყვე შავ ფიქრთ ქროლასა,
ეთერისა ძალთ-ძალს
დავუწყებდა ბრძოლასა...

—

უაზროა ურწმუნოს
სიცოცხლე და ტრფიალი—
მარად ესმის მას ქვეყნად
გლოვის ზარის წკრიალი...

—

მთვარის სხივის სინაზე
ისრათ ხვდება ნაკოდ გულს...
სიცრუეს და ფლიდობას
ანაცვალებს სიყვარულს?!

—

განთიადის სინაზე
სისხლის კალოს აგონებს,
გაზაფხული ედემსა
აწყურებს და აღონებს...

—

მას მიწა ცისკენ გზავნის,
ზეცა გზავნის ქვევითა;
არც ერთი არ იკედლებს,
დადის ცრემლის ფრქვევითა...

—

უაზროა ურწმუნოს
სიცოცხლე და ტრფიალი,—
ზეიმიდან მას ესმის
გლოვის ზარის წკრიალი...

—

დავგმე მიწა... დავგმე კაცი...
დავივიწყე ყოველივე..
ნისლათ ვიქეც... ცის სივრცეში
დავქრი შავათ მოლივლივე...

კიკნა-ფშაველი.

1913 წელი.

დეპეში.

პეტერბურგის ღეპ. სააგენტოსაგან.

ომი ბალკანეთზე.

სოფია. სამშვიდობო მოლაპარაკებაში დიდი სახელმწიფოების მოსალოდნელ ჩარევის გამო გაზეთი „მირი-" ამბობს:—მოკავშირეთა პასუხი ოსმალეთის თანახმობაზე იქნება დამოკიდებული, რომელმაც უთუოთ უნდა მიიღოს მოკავშირეების ტერიტორიალური წინადადება. დიდი სახელმწიფოების საქმე მხოლოდ დეტალების მოწესრიგება იქნება. ბულგარეთი წინდაწინ შეთანხმდება მოკავშირეებთან. სამხედრო ოპერაცია კი გაგძელდება და მისი რეზულტატი ბუნებრივათ გავლენას იქონიებს ზავის პირობებზე.

ათინა. ფილიპიადიდან იუწყებიან: გეცოვაში მიმავალმა ჯარმა ოსმალები განდევნა და მდინარე არატოსკენ გაუშურა.

ოსმალოს 8000 კაცის რაზმმა ბერძნების რაზმზე იანინთან იერიში მიიტანა. ოსმალები განდევნეს და იძულებული აყვენ უკან დაეხიათ, ბრძოლის ველზე 100 მოკლული დასტოვეს. მეორე დღეს 500 ოსმალომ არტილერიით ლიზსკანის პოზიციის დაჭერა განიზრახეს, მაგრამ დამარცხდენ.

სოფია. სახალხო საკრებულოში ჯარის საჭიროებისათვის 400 მილიონის გადადების საკითხის გარჩევის დროს სოც.-დემოკრატების მეთაურმა მალინოვა განაცხადა—ბულგარეთ-რუმინიის სადაო საკითხში დიდი სახელმწიფოების შუამდგომლობა უნდა უარვყოთო. მთავრობამ ვერ შეძლო სახალხო საკრებულოს დაუთანხმებლათ ამ შუამავლობის მიღება, რომელიც ჩვენგან ტერიტორიის დათმობას მოითხოვს. ამ საკითხისათვის მთავრობას საკრებულოს რწმუნებულობა უნდაო; კუცოვალახების შესახებ ორატორმა განაცხადა—ბულგარლებს რუმინიაში ისეთივე უფლებები უნდა მიეცეს, როგორიც რუმინიელებს აქვთო.

უსკიუბი. ბულგარეთის დელეგატათ სერბიის მთავარ ბინაზე გენერალი პაპრიკოვი მოვიდა.

„ნოიეფრაიეპრესეს" ცნობები, ვითომც ალბანეთში იპეკიდან და მუტესარიფიდან ჯავიდ-ფაშის განკარგულებით ახალგაზდა ოსმალები მისულიყვენ სერბიელების წინააღმდეგ სახალხო ომის მოსახდენათ, ტყუილია.

სერბიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ალბანეთის ამბოხება უაზროა.

ვალონის მახლობლათ ჯავიდ-ფაშის ჯარის ნაწილი იმყოფება, რიცხვით 6,000 კაცამდი, რომელსაც არც ფული აქვს, არც არტილერია და იქ არც არავითარი დისციპლინაა.

საზღვარგარეთი.

ვაშინგტონი. პრეზიდენტი ვილსონი მოვიდა, რომელსაც აფრთოვანებული ხალხი შეეგება.

ტოკიო. მთელი ქალაქი ნუმზადუ თითქმის გადაიწვა, დიდოფლის საზამთრო რეზიდენციაში 3,000 სახლი დაიწვა.

ვაშინგტონი. ჩვეულებრივი ცერემონიალით შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონი თანამდებობის ასრულებას შეუდგა და დაწესებული ფიცი დასდო. შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში მან აღნიშნა დემოკრატიული პარტიის გამარჯვება, რომლის ხელში გადავიდა პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტ ს და სენატის წევრთა თანამდებობა. ერმა დემოკრატიული პარტია თავის ნების იარაღათ გამოიყენა. ჩვენ შევქმენითო, სთქვა ვილსონმა, მართველობის დიდებული სისტემა, რომელიც საუკუნეზე მეტია მტკიცეთ სდგას, და რომელმაც საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. ჩვენ ვამაყობდით წარმოების წარმატებით, მაგრამ არ ვფიქრობდით ფასი დაგვედვა ადამიანის სიცოცხლისათვის, არ გვესმოდა საზარი კვნესა ქარხნის და მადნის მუშის და ყველა იმ სახლში მომუშავის, სადაც ბრძოლაა მოუსვენარი. ჩვენი მოვალეობაა ბოროტი გავასწოროთ და კეთილს ზიანი არ მივაყენოთო. ვილსონმა განმარტა მომავალი მუშაობის გეგმა და სთქვა: უნდა გადიშინჯოს სავაჭრო ტარიფი, მოხდეს საბანკო სისტემის რეფორმა, შევცვალოთ შრომისა და კაპიტალის ურთიერთი დამოკიდებულება და საზღვაო მოგზაურობა გავაუმჯობესოთო, მართველობის საფუძველი სამართლიანობაა. პირველი მოვალეობა კანონისა სადი საზოგადოების შექმნაა, რაც შედეგია მართლმსაჯულებისა. მთავრობის ნაყოფიერი მუშაობისთვის საჭირო არა პარტიის ძალაა, არამედ ძალა მთელი კაცობრიობისა. დასასრულ ვილსონმა მოუწოდა ყველა კეთილ ადამიანებს და პატრიოტებს დახმარებისთვის.

რ უ ს ე თ ი.

პეტერბურგი. გამოაქვეყნეს უმაღლესი რესკრიპტი, რომლის ძალით ხივის ხანს უმაღლესობის წოდება ებოძა.

საპატიო მოქალაქემ უშაკოვმა, რომელმაც სამაზრო ერობას ქვის შენობა აჩუქა სავათმყოფოსთვის, დამატებით კიდევ 100,000 მ. შესწირა 25 ტახტის უფასოდ შესანახავათ.

კიევი. პოლონელთა ფარული შკოლა ამოაჩინეს ყოველივე მოწყობილობით. შკოლის მასწავლებელი პასუხისგებაში მისცეს სახლის პატრონი ადმინისტრატიულათ დასაჯეს.

ნოვოჩერკასკი. დონის ოლქში კირეევის ხუტოროში შავი ჭირით ავათ გახდა დედაკაცი. საჭირო ზომები მიიღეს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

„იმერეთის" მე-30 №-ში დასტამბულია წერილი ბაქოდან, სადაც აღნიშნულია ქართველების ძლიერი და მწყობრი, საიმედო მუშაობა სამოქალაქო და ეროვნულ ნიადაგზე. ბაქოში ქართველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და, შესაძლებელია, ერთ დროს მართლაც საგრძნობელ ძალათაც გადაიქცესო. „თუ საცსებით მივიღებთ ზოგიერთი სწავლულის აზრს, რომ ამა თუ იმ ერის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ერთადერთი შეგნება, თვით შემეცნება განსაზღვრული ჯგუფის მიერ თვისი პიროვნებისა და სურვილი დაიცვას ეს პიროვნება, მაშინ აქაურ ქართველობას ყველაზე უფრო შეუძლია თავისი ქართველობა თამამად აღიაროს და თავისი თავი ამ მცნების ერთგულ მცველათ დასახოს, რადგან აქ ჩვენები ღიახაც აფასებენ თავის ვინაობას და მისი შენარჩუნების სურვილს იჩენენ".

მერე. რის მეოხებით მოხდა ეს ამბავი, რომ საქართველოს ტერიტორიის საზღვრებს გარეშე მოხდა ის, საოცარი, წმინდა საარაკო საქმე, რომლის მზგავსი ვერსად თვით საქართველოს არე-მარეზე ვერ მოახერხა მთლად ქართველობამ?

მე მინდა აქ მოვაგონო მკითხველს, რომ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიც, ისე, როგორც ამავე საუკუნის სამოციანი წლები, ფრიად საყურადღებო ხანაა ჩვენს განახლებულს ცხოვრებაში. კავკასიის აქეთა მხარის არე მარეზე იმ დროს იჩინა თავი ორმა საქვეყნო დიდმა საქმემ—ნავთის წარმოებამ ბაქოსთან ახლოს, აფშერონის ნახევარ კუნძულზე და შავი-ქვის (მანგანეზის) მრეწველობამ—საწერეთლოში.

აღნიშნულს ადგილებში დამტკიცდა თუ არა ნავთის ... კოლოსალური სიმდიდრე, იმ წამსვე ბაქოში მიიწვეულ იქნენ დიდი ცოდნის, ნიჭისა და ენერგიის სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის კავკასიის პუბლიცისტიკის არწივი ნიკო ნიკოლაძეც საბჭოდ, სადაც წყდებოდა მთელი სახელმწიფოსათვის დიდათ სასარგებლო საქმეები. გადაწყდა თფილისის ბაქოსთან რკინის გზით შეერთება და მალე მიყრუებულს ტიტველ მინდვრებზე უკვდავი გიორგი სტეფენსონის ლოკომატივმა მძინარე აზიელების გამოსაღვიძებლად ზლაპრულ გველეშაპივით საბედისწეროთ იკივლა. .

ამ გზას თან მოყვა ევროპის სხვილი კაპიტალი და სომხებთან, თათრებთან ერთად ქართველობაც მიაწყდა ამ სიმდიდრის წარმოებას. მთავრობის ნებადართვით ნავთის მრეწველთ ნება მიენიჭათ ბაქოში კრებების მართვისა, სადაც კრებისთვის საბჭო აქვთ გამართული, რომლის მეოხებითაც უმჯობესდება ნავთის მრეწველობის საქმე. მრეწველთა კრებას და მის ოფიციალურს ორგანოს საბჭოს მთავრობისაგან ნება აქვს დართული რკინის გზით გატანილ ფუთ ნავთზე გადასახადი აიღოს და ის ფულები მოახმაროს მრეწველობის საზოგადო საჭიროებას.

ვინ მოსთვლის აქ იმ სიკეთეს, რა სიკეთეც ამ ფულებით ნავთის მრეწველთა საბჭოს გაუკეთებია საზოგადოთ მრეწველობისა და მუშებისათვის. გზები, აბანოები, მუშების საცხოვრებელი სახლები, სასმელი წყალი, სანოვაგის მოწესრიგების საქმე, შკოლები, სავათმყოფოები, მუშათა დაზღვევის საქმე, სახალხო წარმოდგენებისთვის სცენები, საჯარო ლექციები, ელექტრონის განათება, წიგნსაცავ-სამკითხველოები და სხვა და სხვა. მე დამითვალიერებია ყველა ესენი და განცვიფრებაში მოსულვარ.

ჩემთვის ძალიან სასიხარულო ის იყო, რომ სხვა ერის შვილებთან ერთად, ჩემი ქვეყნის შვილებსაც, ახალი საქართველოს ცოცხალ ელემენტსაც წილი ქონდათ ამ საერთო, საქვეყნო დოვლათში და კმაყოფილების ღიმილი ტუჩებზე მეხატებოდა. რასაკვირველია, ჩემი იდეალი შორს არის იმაზე, რაც მე იქ ვნახე. მაგრამ საქმე ხომ ჩემს იდეალებზე და სურვილებზე არ არის. საქმე სინამდვილეა, ცხოვრების ყოველდღიური დუღილი და ცხოვრებას კი აქვს თავისი განსაზღვრული პოლიტიკო-ეკონომიური კანონები და მის ფარგლებში ტრიალებს იგი. ჩვენ შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ გული, რომ ნავთის მწარმოებელთა საზოგადო დაწესებულებას საზოგადოებისა და ხალხისთვის ჯეროვანი სარგებლობა მოუტანია, და იმაზე უდიდესი, უმაღლესი და უკეთილშობილესი მიზანი საზოგადო დაწესებულებისთვის, გინდა საზოგადო მუშაკისთვის რაღა უნდა იყვეს, თუ არ ზრუნვა და ფიქრი ხალხის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებზე. რომელი ხალხის უმრავლესობის სამსახურია ნამდვილი ჭეშმარიტი დემოკრატიზმის სამსახური.

აი ამ დემოკრატიული სამსახურით გამსჭვალულია ნავთის წარმოების დიდი საქმე ქართველთათვისაც. აქ ახალგაზდა საქართველოს შვილებმა იმდენი მხნეობა და ნიჭი გამოიჩინეს, რომ წარმოშობეს ქართველი მილიონები,- საქართველოში ქველმოქმედებით ცნობილნი ძმ. ზუბალაშვილები და იაკობ მანსვეტაშვილი; ამათ გარდა, ჩემს დროს იქ იყო სხვილი ფირმა ჩვენში ცნობილი ივანე გივის-ძის ამილახორისა, მუხრანსკისაც და ახლა ინჟენერის დადიანისა.

დარწმუნებული ვარ, ქართველობას თავის დროზე რომ ყოლოდა, ან ახლა მაინც ყავდეს ჟურნალ-გაზეთებში, პუბლიცისტიკაში გულწრფელი მეთაურები, რომელნიც ამ მრეწველობისკენ ჩიადაგ, მუდამ დღე უჩვენებდენ მას გზას, ეს ძალიან მცირე რიცხვი ქართველი მრეწველებისა ერთი ათად მეტი იქნებოდა და ჩვენი საქმეც უფრო წინ წაწეული და წარმატებული. მაგრამ ქართული ჟურნალ-გაზეთობა და პუბლიცისტიკა მუდამ ყოვლად უვიცი, ბეცი იყო თანამედროვე რთულ მრეწველობის საქმეებში და როცა გასული საუკუნის 80-იან წლებში. ნიკო ნიკოლაძე თავის „Новое обозрѣніе"-ში თითქმის ყოველდღე ქუხდა

...იყო იდგა გაფითრებული... ირწე- ... მივარდი, ბავში გამოვართვი და ...ლო ქოხში შევიყვანე... ორი დღე ...ბლა საბრალომ. უკანასკნელ სალა- ...თხოვა გამოქვაბულში შემოეყვანა... ...იყვანე... უკანასკნელათ მომხვია, ... ჩამაბარა და სული განუტევა. გა- ...ხანი; ბავში მოკეთეებთან მივიყვა- ... იქ იზდება... ფუცა, ფუცაა ის, ...ცი... ის ჩემი შვილია.. ჩემი ქა- ...—ლუღლუღით წარმოსთქვა მოხუც- ... ქვითინი ამოუშვა—იმ..- ან, ფ...უ- ...ეს კი არ, არ იცის...—ქვითინით ...და ბერიკა. ბოლოს დამშვიდდა. ...ცრემლები მოწმინდა. ახლა ჩემთ ბიძია, ...ნაგრძო მან თამრიკოს სასიამოვნოთ, ...ულ იქ და ვაქლერებ სვანურ ქია- ...ს..- ვუკრავ... ეს ჩემი პანაშვიდია, ...ლსაც მისი სულის მოსახსენებლათ ...ებრავ ხოლმე... არ მინდა ლვდელი. ...ავ იქ ჩემ თამრიკოსთან.

...რიკამ კვლავ ქვითინი ამოუშვა...

2.

...თქმის ერთი თვე გავიდა მას შემ- ..., მე იქით აღარ გამივლია... ხანდა- ...უცაბედათ დამფრთხალ შველივით ...ვლებოდა ხოლმე ფუცა... დავაკვირ- ...ლი. ის კი შეკრთებოდა და ჩქარის ...ჯით გამშორდებოდა. მისი ცქრიალა ... სევდით იყო მოცული. ვატყობდი, ... რაღაც ტრაგედია ტრიალებდა მის ...ებაში.

...ერთ საღამოს თოფის მაგივრათ ბადე ...კიდე მხარზე და მდინარეს ჩამოვ- ... მე ის იყო ეთხოვებოდა სამყაროს, ... ოქროს ფერ სხივებს მდინარის ტალღებს აქსოვდა და უკანასკნელათ კოცნიდა. ბერიკას საყვარელ გამოქვაბულს რომ მოვუახლოვდი, ხმა გავკმიდე, მსურდა ჭიანურის ლოცვა გამეგონა, მაგრამ მის ნაცვლად ქვითინი მომესმა. ბერიკა მეგონა, მივუახლოვდი ტირიფიდან გავხედე, ქვითინთან სიტყვებიც შემომესმა:

„სად დაიკარგა... არა, არა ვარ... არა ვარ... სად წაიღო ჩე...მი, ჩემი გული... ბე...რიკა, რათ გამწირე, მე ხო ასე მი...ყვ... არდი, არა, არა ვარ მისი შვილი, წამოიყვირა საბრალომ და ხეს თავი მიარტყა.—გასკდი სამიწე"...

ხეს მოვშორდი... მივხვდი რაშიც იყო საქმე. მივხვდი. საბრალო ბერიკა, საბრალო ფუცა! ამომსკდა გულიდან და იქაურობას მოვშორდი.

3.

გავიდა ორი წელიწადი.

ეს თითქმის ყველაფერი დამავიწყდა. ერთ დღეს საღამოთი რუსეთიდან ახლათ დაბრუნებულმა, სასაფლაოზე გავისეირნე ჩემ ტოლებთან ერთად. ჩემი თვალი ერთმა ახალმა საფლავმა მიიპყრო.

— ნეტა, ვინ არის ეს ახალი მიცვალებული? ვკითხე ერთ ქალს.

— ფუცა ნაბუშარა, ჭლექით მოკვდა ავერ ახლა—მიპასუხა მან.

შევკრთი. საფლავს მივაშურე... თან სხვებიც გამომყვენ. მივუახლოვდი. მიწა კიდევ სველი იყო. საფლავზე ჭიანური დავინახე... ავიღე... ვიცანი, ვისიც იყო.

მოწიწებით ჭიანური ისევ საფლავს დავადევი...

დია ჩიჩნელი.

ხარკოვი. 25 იან. 1913 წ.

სავაჭრო სახლი გოკიელოვი შვ-ბი ქუთაისში·

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ-კავკასიაში ჩვენში კარგათ ცნობილი სა[illegible]
აბრეშუმის თესლის

ხ. ხრისტადულიდის

(რომელსაც ჩვენში წინათ წერეთლის თესლს ეძახდენ). ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს თესლით მოვაჭრეებს, რომ პარტიობით თესლის დამკვეთ (ზაკაზის მომცემთ) ნაღდ[illegible] არა ნაკლებ ერთი ყუთისა ანუ 200 ექვს მისხლიან კოლოფისა თესლი [illegible] დის—1 მ. 14 შ., 15 მარტამდი—1 მ. 4 აბაზათ, 1 აპრილამდი—1 18 შ. ხრისტადულიდის თესლის ღირსებამ გასულ წელს ზოგიერთ ვაჭბატონებს მადა გაუღვიძა და მდარე ღირსების თესლის [illegible] გაზეთები „ზაკავკ. რ.", „სახ. გაზ.", „მათ. სიმართლე" და სხვ.) ხრისტადულიდის ფირმის ყალბი ეთიკეტების კეთებას შეეცადდენ. შესაძლოა ზემო-ღნიშნული ბოროტებ[illegible] ნის დროს სიყალბის ასაცდენათ დიდი ყურადღება მიაქციეთ ჩვენი ფირმის „იარლიკს" და „შტემპელს", აგრეთვე შეეცადეთ თესლი საიმედო პირთაგან შეიძინოთ.

ამ სამრეწველო საქმეებზე, მაგრამ დასცინოდენ მას და რას არ უგონებდენ.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ქართველობა მაინც საგრძნობლათ გაძლიერდა ბაქოში და იგი იქ ძალიან ფხიზლათ და მარჯვეთაც არის ამ ჩვენს დროში. დღეს იქ მან დაარსა წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, ქართული შკოლა, წიგნსაცავ-სამკითხველო, თეატრი, სადაც შარშან, შარშანწინ და წელსაც, ჯერ არ ნახულა ბაქოში, ისეთი დაუვიწყარი, შესანიშნავი საღამო გამართა; ქალაქმაც მიუძღვნა მას ძალიან კარგი ადგილი ქართული ეკლესიის ასაშენებლათ და, წარმოიდგინეთ, ახლა იქ ქართული გაზეთიც გამოსცეს.

მრწამს, რომ ბაქოში ნავთის წარმოების საქმეში ჩარევით ქართველობამ თვისი დიდების სასახლის აშენებისთვის საძირკველი მკვიდრათ ჩაყარა, და ამიერიდან ჩვენს საერო საქმეს იქ უფრო დიდი წარმოება და ნაყოფიერება მიეცემა.

ხომლელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ფოთი.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

„იმერეთის" 32 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ფოთის სამრევლო შკოლის მასწავლებელ ალექსანდრე გვასალიაზე.

ამ წერილს შემდეგ შემთხვევა მქონდა მებაასა მასთან, როგორც ძველს კოლეგასთან იმაზე, თუ რამდენათ მართალია წერილის შინაარსი. რამდენიმე შეკითხვას შემდეგ პასუხათ მივიღე: „ასეთს ცრუ მოვლენას ჩემს შკოლაში ადგილი არ უქვსო." შემდეგ შევეკითხე: „კორესპონდენტი ამბობს: „ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ ა. გვასალია ერთს ადგილობრივ დაწესებულებაში გურია ოდიშის სამრევლო შკოლების ზედამხედველს ეუბნებოდა,—ქართველი მშობლების სურვილია—მათს შვილებს სასწავლებელში შესვლისათანავე რუსული ასწავლონ: ქართულს ისედაც ისწავლიანო" მიპასუხა: „კაცო შტერი ხომ არა ხარ.., еще бывшій учитель спрашиваешь-ო" „არც ასეთი რამე ყოფილაო." ასეთი პასუხით დავკმაყოფილდი, თუმცა ვატყობდი ბოლმა მოსდიოდა. ვურჩიე: დაეწერა და გაეცნო საზოგადოებისათვის მისი პასუხი. ასეთი რჩევით ჩემი ტკბილი მოსაუბრე უცებ ტალ-კვესივით აენთო და მიპასუხა: „это мое дѣло, я напишу остоновлюсь на что либо другое или изышу того г-на кто это писалъ—совѣта ни у кого не прошу и слушать на желаю-ო" და თან, უცენზურო სიტყვებით მოიხსენია კორესპონდენტი... სულ რუსულათ, სხაპასხუპით!

ჩემს გაცვიფრებას საზღვარი არ ქონდა და ვუთხარი—ამხანაგურ რჩევას თუ არ მიიღებ, ია და ვარდი გფენიათქო. მაგრამ განაგრძო: „я повторяю совѣта ни у кого не прошу, ни кого не прошу входить въ мои личныя дѣла" და სხვადასხვა. ისე გაცხარდა, რომ შევფიქრდი—არ დამეტაკოს-თქო.

ძველათ რომ ბ. გვასალია გადაგვარების გზას ადგა, ეს კარგათ ვიცი. მაგრამ, თუ ახლაც კიდევ განაგრძობდა ამ გმირობას, არ მეგონა. ძალიან ნაწყენი გამომისტუმრა ბ. გვასალიამ და კიდევ კარგი,—ამით გადავურჩი, მაგრამ დამემუქრა: „თუ ერთი სიტყვაც ამოგილია ჩემს შესახებ, ქუჩაზე არ შემხვდეო." ახლა მივმართავ ბ. გვასალიას: მართლა საშიშია მისი შეხვედრა, ქუჩაზე შეურაცხყოს. არ ვეცოდები? ნეტავი რათ მეუბნებოდა: „въ мои личныя дѣла не вмѣшиватся-ო?" განა ქართული ენის სწავლა მისი პირადი საქმეებია? თუ ასეა—ქართველი საზოგადოებისათვის მიმნდვია. ვამბობ, არ ახლა ვუპასუხებ: ყოჩაღ, ძველო გამოცდილო! მასწავლებელო! ძველოო, რო იფიქროთ მკითხველო, რომ ალექსანდრე გვასალია მოხუცია, არა (მას მაყვალივით შავი ულვაშები აქვს). ძველი მასწავლებელი, მაგრამ როცა ეს სიტყვა ძველი მოვახსენე, მან საწყენათ მიიღო, ეგონა ბებერი დავუძახე—გაცხარდა და იყვირა въ мою возрастъ не входить. მაგრამ რა გაეწყობა ნათქვამია: არ გათეთრდება ყორანი- რაც უნდა ხეხო ქვიშითა.

თოთხმეტი წლის მასწავლებლათ ნამყოფი. **მახ. ბიჭ. დარახველიძე.**

კულტურის მაგალითი.

ოცდა ხუთი წლის წინათ ინდოეთში, მდინარე ჰენაბის ნაპირებზე მარტო ქვიშიანი უდაბნო იყო, რომლის სივრცეც, რამდენიმე მილიონ ქცევას შეადგენდა. ჰენაბის ნაპირიდან დასავლეთით, მზისაგან გახურებულ ქვიშისა და ქვების მეტი არა მოიპოვებოდა. ოდესღაც აქ არსებობდა სოფლები, ბაღები, ყანები, მაგრამ ესენი გზის პირათ იყო გაშენებული. ამ გზით განუწყვეტლივ მოდიოდენ მეომარნი სამხრეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით. ამათ დაიპყრეს ეს ქვეყანა, ამოჟლიტეს მცხოვრებნი, გადაწვეს სახლები, გაკაფეს ტყეები ამოავსეს ჭები და დაანგრიეს წყლის სათავეები.

ამგვარათ ექვსი საუკუნის წინად ეს აყვავებული მდიდარი მხარე უდაბურ ადგილათ გადააქციეს.

1889 წ. ინგლისელები შეუდგენ ადამიანის უგნური საქციელის გასწორებას. მათ გადაღობეს განიერი და ღრმა მდ. ჰენაბი, ააშენეს უზარმაზარი ჯებირი და ამნაირათ წყალმა ახალი კალაპოტი გაიკეთა. შემდეგ მოსარწყავი არხები გაიყვანეს, რომელთა სიგრძე საერთოდ რამდენსამე ათას ვერსს შეადგენდა. და ოცი წლის განმავლობაში ნამდვილი სასწაული მოხდა: სადაც ქვიშა იყო, ახლა—ბაღები, ბამბის მინდვრები და ყანებია გაშენებული. ნოყიერი მიწა, რომელსაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში წყალი არ ღირსებია, ახლა ჩინებულ ჭირნახულს იძლევა. წინად გავერანებულ ადგილზე ქალაქი ლიალპური გაშენდა, რომელიც მთლად ბაღებშია ჩაფლული. ქალაქი შემკულია: ელექტრონით, შკოლებით, აგრონომიული ინსტიტუტით, გაზეთებით, ბანკებით და, სხვადასხვა გვარი ქარხნებით. ქალაქს გარს არტყია კულტურული დაწესებულებები, სოფლები. წინად ამ უდაბურ მხარეში მხოლოდ აქლემებით შეიძლებოდა მოგზაურობა, ახლა კი რკინის გზა გადის, რომელსაც აუარებელი გზაშარები უდგება.

დღეს, ეს უდაბური ქვეყანა არა მარტო პენჯაბის, არამედ მთელი ინდოეთის მასაზრდოებლად ითვლება. აქიდან დიდი ნაწილი ხორბლისა ინგლისშიც კი გააქვთ.

რედაქტორ გამომცემელი
გ. ი. ჭელიძე

Каждый долженъ
Пріобрѣсти посмертныя художественныя произведенія геніальнаго писателя
Графа Л. Н. Толстого
ТРИ БОЛЬШИХЪ
тома получай только за 2 руб. наложен. платеж. на 25 коп. дороже.
Складъ изданія Т-во „ОБОРОТЪ"
Варшава Маршалковская 62 отд.

ТАИНСТВЕННАЯ СИЛА ВНУШЕНІЯ!!! Заставьте окружающихъ подчиниться Вашей волѣ. Самоучитель гипнотизма по Флаузру и Тарханову. Цѣна 2 р. 50 коп.

ГИПНОТИЗМЪ и ВНУШЕНІЕ. (Лѣченіе болѣзней). Соч. проф. Грассэ. Перев. Д-ра С. Ершова. Цѣна 2 р. 50 коп.

Предлагаемая кн. проф. Грассэ. знаменитаго невропотолога Франціи, содержит строго научное и вполнѣ обоснованное изложеніе возрѣній на гипнотизмъ, практическую оцѣнку фактовъ и явленій изъ этой области и собственныхъ его выводовъ и заключеній.

ОККУЛЬТИЗМЪ. Руководство къ воспитанію оккультныхъ силъ человека. Цѣна 1 р.

ЯЗЫКИ:

французскій, нѣмецкій, англійскій лат. каждый безусловно имѣетъ возможность основательно изучить (правильный разговоръ, чтеніе и письмо), безъ помощи преподавателя въ 2—3 мѣсяца и даже скорѣе (зависитъ отъ усредія и способностей) по нашимъ новѣйшимъ методамъ и самоучителямъ. Успѣхъ гарантируемъ возвратомъ денегъ до 3-хъ мѣс. Тысячи лицъ разныхъ слоевъ общества присляли намъ благодарности и похвальные отзывы. Цѣна съ пересыл: одного самоучит. 1 руб. 27 коп. 2-хъ 2 р. 23 коп. 3 хъ 3 руб. 16 коп. 4-хъ 4 руб 5 коп.

ПОЛНЫЙ СЛОВАРЬ ИНОСТРАННЫХЪ СЛОВЪ, вошедшихъ въ составъ рускаго языка. Громадный томъ большого формата Нѣсколько сотъ тысячъ словъ. 3 руб. 50 коп. По отзывамъ газ. „Новое Время" „Свѣтъ", книга эта представляетъ цѣнный вкладъ въ лексическую литературу и должна быть настольною книгою каждаго грамотнаго человѣка; сравнительно же съ объемомъ этого прекраснаго изданія, цѣна его можетъ назраться дешевою.

ЛѢЧЕБНИКЪ-АПТЕЧКА. ДОМАШНІЙ ДРУГЪ. Лѣченіе разныхъ болѣзней безъ помощи врача. Гигіена. Алфавитное поименованіе важн. общедост. лѣкарствъ, средствъ способы хъ приготовленія и употребленія. Настольная книга семьи Ц. 1 р. 75 к.

ГИГІЕНЫ КРАСОТЫ. Искуство быть красивымъ, полезные совѣты и наставленія къ уходу за красотою и водровьемъ человѣческаго тѣла. Цѣна 1 р. 50 к.

Что такое красота. Уборн свѣтск. женщ. О ваннахъ. Массажъ и растираніе. Купанія. Гидротерапія и приборы. Умываніе лица. Цвѣтъ лица. Морщины. Уходъ за тѣломъ. Гигіена лица. Лишаи. Косметическія средства, духи и пр. Платье, обувь и туалеты вообще. Нѣскольк совѣтовъ исключительно для дамъ.

ПОВАРЕННАЯ КНИГА. СПУТНИКЪ ХОЗЯЙКИ. Руководство къ уменьшенію расходовъ въ домашнемъ хозяйствѣ. Болѣе 3000 описаній разныхъ блюдъ скоромн. и постнаго стола. Громадный томъ большого формата. Цѣна 3 руб.

ПУТЬ КЪ СЧАСТЬЮ. КАКЪ НАДО ЖИТЬ. Соч. Д-ра философіи Ф. Кирхера. Ц. 1 р. 75 к. Популярный професоръ старается указать намъ какъ можемъ мы примириться съ жизнью и гдѣ и въ чемъ можемъ искать утѣшеній и наслажденій, которыя даетъ намъ природа, искуство, чтеніе, дружба, домашній очагъ, религія, трудъ и отдыхъ, рисуя свѣтлую будущность человѣка. Все сочиненіе проникнуто ободряющимъ духомъ. Трезвые взгляды проводятся имъ въ такой легкой популярной формѣ, что книга эта является необходимостью каждаго читателя и будетъ прочтена имъ съ громадною для себя пользою.

ЭЛЕКТРИЧЕСТВО ВЕЗДѢ и КЪ УСЛУГАМЪ ВСѢХЪ и КАЖДАГО. Общедоступныя основныя объ электричествѣ, элементахъ и пр. Изготовленіе аккумуляторовъ, элементовъ, сух. батареекъ, какъ устроить электрическое освѣщеніе при помощи элементовъ. установка телефоновъ, электрическихъ звонковъ. Подробн. расчеты, чертежи и пр. Маленькія динамо-машины, электродвигатели. Гальванопластика: золоченіе, серебряніе. Устройство телефона домашними средствами. Ц. 2 р. 50 к.

ПОЛНЫЙ РУССКІЙ ПИСЬМОВНИКЪ. Настольная книга для всѣхъ. Образцы и формы прошеній, заявленій и отзывовъ, объявленій въ Окр. Судъ. Мир. Учр. и пр. Духовн. завѣщанія купчія крѣпости, дарств. записи, договоры, обязательства, контракты, условія, довѣрен., аттестаты, векс. заемныя письма, росп., торгово-коммерч. переписка и циркуляры. Сборникъ образцовъ всѣхъ родовъ дѣловой и коммерческой переписки, писемъ и проч. Цена 2 р. 50 к.

Заказы выполняются по полученіи стоимости, или же съ наложеннымъ платежомъ

Книгоизд. и книжн. складъ И. И. Ванковичъ.

СПБ. ИТАЛЬЯНСКАЯ УЛ. № 15-120

ЯЗЫКИ: Французскій, Нѣмецкій, Англійскій, Латинск

каждый безусловно имѣетъ возможность основательно изучит
(правильный разговоръ, чтеніе и письмо).

БЕЗЪ ПОМОЩИ ПРЕПОДАВАТЕЛЯ

Въ 2—3 мѣс. и даже скорѣе (завыситъ отъ усердія и способности) по нашимъ вѣйшимъ методамъ и самоучителямъ. Успехъ гарантируемъ возвратомъ денегъ до 3 мѣсяцевъ. Тысячи лицъ разныхъ слоевъ общества прислали намъ

благодарности и похвальн. отзывы.

ВЫСЫЛАЕМЪ НАЛОЖЕННЫМЪ ПЛАТЕЖЕМЪ.

Цѣна одного самоучителя 1 р. 10 к., 2-хъ 2 р., 3-хъ 2 р. 80 к., 4-хъ 3 р. 50
съ пересылкой.

Складъ изданіи Т-во „Оборотъ" Варшава Маршаловская 62 отд.

Теперь вы можете имѣть
дѣйствительно полный, подробный и точный лизъ характера, опредѣленіе прошлаго, насто го и будущаго.
не за 6 рублей, а только за 1 рубль
ПОЗНАЙТЕ СЕБЯ!
ПОЗНАЙТЕ ДРУГИХ

Пришлите почеркъ свой или интересующей Васъ личности, сообщите при Имя годъ, мѣсяцъ и число рожденія, изъ скольких душъ состоитъ личная писавшаго,—по этимъ даннымъ Вы получите отъ меня, Психо-Графолога Х. ШИЛЛЕРЪ-ШКОЛЬНИКА (автора научныхъ трудовъ), заказнымъ письмомъ., стро учный, полный, точный и подробный анализъ характера опредѣленіе прошла стоящаго и будущаго, съ указаніемъ важныхъ событій въ жизни. Вѣрные отвѣ всѣ предложенные вопросы. Цѣнные совѣты и предупрежденія, Анализъ прин неоцѣнимо-моральную пользу, что потверждается множествомъ лестныхъ отз и благо дарностей.

Анализъ высылается за 1 р. наложеннымъ плат. на 30 коп. дороже. Ана болѣе детальный, съ подробнымъ гороскопомъ, составляемымъ знаменитымъ момъ Миссъ-Хассэ, съ указаніями, какъ жить? что дѣлать? высылается за три ля, наложеннымъ плат. на 30 коп. дороже.

Я производилъ свои научные анализы знатнѣйшимъ и Высокопоставлен особамъ, Князямъ. Графамъ, Баронамъ, Генераламъ, Ученнымъ, Профессорамъ, чамъ, Педагогамъ, Духовенству и Купцамъ и удостоился получить множество ныхъ отзывовъ и благодарностей.

О моей специальности по Френо-Графологии и моихъ произведеніяхъ неод ратно публиковалось во всѣхъ извѣстныхъ органахъ, журналахъ и газетахъ Ев пы, Имѣется множество лестныхъ отзывовъ печати.

Деньги переводомъ или марки только въ заказномъ, темномъ, хорошо за танномъ конвертѣ. Налож. на 30 коп. дороже.

Адресъ: Психо-Френологу Х. М. Шиллеръ-Школьнику, Варшава. Пенкная № 25 —П. Брошюра съ множествомъ отзывовъ и благодарностей отъ высокопостовлен. осо множество прилагается при всякомъ заказѣ.



ვაჭრების საყურადღებოთ.
ნ. ს. ტმრჩის მაღაზია
ქუთაისში.
ამით აცხადებს,
რომ მაღაზიაში დღეიდან არის დიდი საწყობი და იყიდება ვენახის სარწყავი
ვერმორელის სისტემის მანქანები და მისი ნაწილები.
დიდი მოთხოვნილების გამო მსურველთ შეუძლიათ მიმართონ აქიდანვე, რათა დროზე შეიძლებოდეს მანქანების მიწოდება. მანქანის ნიმუშის დათვალიერება შეიძლება ყოველთვის მაღაზიაში ქაროვასლის ქუჩაზე გველესიანის შენობაში.

გ. მორდაძის და ს. წერეთლის
ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის [illegible] სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იუ[illegible] სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციე[illegible] განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „Бемское" [illegible]
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწყომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი შრომისა და ქარხაუხოვის, ქუთაისში.